როლ ეტარები ყველა ქვეყნისა შეერთდით! ხუთშაბათი, 24 აპრილი 1924 წ. წელიწადი მეოთხე ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 484 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1 40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## დივიზიის პარტ-კონფერენციისათვის.

30 აპრილს გაიხსნება ჩვენი დივიზიის პარტ-კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგი მეტის მეტად საყურადღებოა და ეხება პარტიის მომავალ მუშაობის ამოცანებს წითელ ჯარში.

უპირველეს ყოვლისა კონფერენცია ჯამს გაუკეთებს წარსული წლის მუშაობას და გამოიტანს სათანადო დასკვნებს.

უკანასკნელი წლის განმავლობაში პარტიამ დიდი მუშაობა გასწია ჯარის განმტკიცებისა და ახალგაზრდა წითელ-მოლაშქრეთა ვათვითცნობიერების საქმეში. ჩვენი ენერგიული მუშაობით ნაყოფიერად იქმნა ჩატარებული 1901 წელში დაბადებულთა დემობილიზაცია. გასულ წელთან შედარებით წრეულს ჩვენ შევსძელით გაცილებით მეტად გათვითცნობიერებული წითელი-მოლაშქრის გაშვება უვადო შვებულებაში. წელს ჩვენი წითელი მოლაშქრე მეტი კულტურული ბარგით დაუბრუნდა თავის სახლკარს.

მაგრამ არა ნაკლები ძნელი მუშაობა უწევს პარტიას მომავალში ახალ წვეულთა შორის. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ჯარის რიგები შეივსება 1902 წელში დაბადებულ ახალგაზრდობით. უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად წითელ-ჯარს ეწვევა პარტიის და კომკავშირის ახალგაზრდა წევრები და კანდიდატები. ამრიგად ჩვენი ჯარის რიგებში პარტიულ ამხანაგების რიცხვი სრულიად საკმაო იქნება. მათი საშვალებით პარტიამ უნდა განაგრძოს შემდეგი ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი ჯარის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებისა და პოლიტიკო-კულტურულ გათვითცნობიერების გაღრმავებაში.

პარტიის ვალდებულებას შეადგენს ახალ წვეულ ახალგაზრდისაგან აღიზარდოს და შექმნას შეგნებული, ერთგული და შეუდრეკელი დარაჯი საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელთა ხალხის თავისუფლების.

პარტიულ აღმშენებლობის სფეროშიც წითელ ჯარში, ჩვენ პარტიის ბევრი ამოცანები აქვს შესასრულებელი.

ჩვენი მუშაობის ნაყოფიერება დამოკიდებულია მისგან, თუ რამდენათ აქტიურია პარტიული წევრი, თუ რამდენათ ის თვითმოქმედია უპარტიოთა ფართე მასებში. წარსულ მუშაობაში ამ მხრივ ჩვენ უსათუოდ მნიშვნელოვანი დეფექტები მოგვეპოება. ამიტომ პარტიის ერთ ერთ გადაუდებელ ამოცანას შეადგნს ას წიოს და აღამაღლოს აქტივობა არა მარტო თითეული პარტიის წევრის, არამედ თვით ორგანიზაციებისა.

პარტ-კონფერენციის მსჯელობის საგანს აგრეთვე შეადგენს ის რთული მუშაობა ჩვენი პარტ-ორგანიზაციების, რომელიც დაკავშირებულია წითელი ჯარის რეორგანიზაციასთან და ჯარის სამილიციო სისტემაზე გადასვლასთან.

ასეთია სქემატიურად მთავარი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაჭრას დივიზიის კონფერენციამ.

ერთგული ჩვენი ბელადის ლენინის ანდერძების პარტკონფერენცია ლენინიზმით შეიარაღებული სათანადოთ გადაჭრის ყველა ამ საკითხებს და აჩქარებული ტემპით წინ წაიყვანს ჩვენი წითელი ჯარის განმტკიცების საქმეს საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ.

## პრესის მიმოხილვა.

**„ლენინის დაბადების და ლენინიზმის წარმოშობის თარიღები“.**

ამ სათაურით „პრავდაში“ მოთავსებულია ზინოვიევის წერილი:

„23 აპრილი ვლადიმერ ილიჩის დაბადების დღეა. სულ რამდენიმე წლის შემდეგ ბატონყმობის გაუქმებიდან რუსეთში დაიბადა კაცი, რომელიც გახდა პროლეტარულ რევოლიუციის ბელადად, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის წინასწარმეტყველი და კომინტერნის შემქმნელი. 23 აპრილი დიდი თარიღია რუსეთის და კაცობრიობის საუკეთესო მერმისისთვის ყველა მებრძოლთა ისტორიაში. ამ დღეს დაიბადა ლენინი.

მაგრამ როდის დაიბადა ლენინიზმი? 30 წლის წინად, 1894 წ. ივლისში ლენინი გაზეთ „დრუზია ნაროდა“-ში სწერდა, რომ რუსეთის ხალხი დაანგრევს აბსოლიუტიზმს და წავა წინ მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, აშკარა პოლიტიკური ბრძოლის გზით ძლევა-მოსილ კომუნისტურ რევოლიუციისაკენ.

მაშინ უკვე 24 წლის ვლადიმერ ილიჩი ჩამოყალიბდა როგორც ბოლშევიკი, როგორც „ლენინელი“. ნამდვილად რომ ვსთქვათ, უკვე აქ გვაქვს ჩვენ მთელი ლენინიზმის ძირითადი იდეების ჩამოყალიბება. შეიძლება ითქვას, რომ ლენინი მთელ დანარჩენ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ანვითარებდა და ამდიდრებდა ამ ძირითად იდეას“.

ამხ. ზინოვიევი ჩამოსთვლის ვლადიმერ ილიჩის მსოფლ მხედველობის განვითარების უმთავრეს თარიღებს და ამბობს: „ლენინიზმი“ მუდამ ცოცხალი, მუდამ ნორჩი და დაუქცნობია საერთაშორისო მოძრაობაში. ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი, როგორც საერთაშორისო მიმართულება, როგორც დიადი საერთო მოძრაობა ჯერ მხოლოდ ეხლა გამოდის ფართე ისტორიულ გზაზე. მისი გაფურჩქვნა ჯერ კიდევ წინ არის. ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმიც ოცხალია“.

# რადიო-დეპეშები

— **უკანასკნელ დღეებში სსრკ-ს სოფლების უჯრედებში შემოდის აუარებელი განცხადებები, განსაკუთრებით ღატაკი მცხოვრებლებისაგან, პარტიაში შესვლის შესახებ.**

— **გეპეუმ ბახმუტის საფინანსო განყოფილებაში აღმოაჩინა მსხვილი ბოროტმოქმედება. პასუხის გებაში მიცემულია 63 კაცი.**

— **სირიის საზღვარზე გაჩნდა ახალი ბრძოლები. ფრანგული ჯარი საგრძნობლად დაზარალდა.**

— **შეერთებულმა შტატებმა და ბელგიამ იცნეს საბერძნეთის ახალი რესპუბლიკა.**

## იაპონია-ამერიკის კონფლიქტი.

**ქედს იხრის.**

იაპონიის ელჩი ვაშინგტონში იუზას სახელზე გაგზავნილ წერილში უარყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ საპროტესტო ნოტაში, რომელიც მიმართული იყო იაპონიის იმიგრაციის აკრძალვის წინააღმდეგ ამერიკაში, იმალება თითქოს ფარული მუქარა: იაპონიის ნოტა ითვალისწინებს მხოლოდ სერიოზულ შედეგების შესაძლებლობას.

იაპონიის ელჩის წერილი დაწერილია დამამცირებელ ტონით. იუზმა მიიღო წერილი მხედველობაში.

**აღშფოთება ამერიკის კანონ-პროექტის გამო.**

იაპონიაში თანდათან ძლიერდება აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ამერიკის სენატის მიერ მიღებულმა კანონ-პროექტმა იაპონიის იმიგრაციის შესახებ. „ოსაკა ოსახი“ სწერს „იაპონელთა იმიგრაციის აკრძალვა ამერიკაში არის აქტი, რომელიც ამცირებს ჩვენს ნაციონალურ სახელს და სცემს ჩვენს პრესტიჟს. იაპონიის ერმა უნდა გადასდგას სათანადო ნაბიჯი თავისი ინტერესებისა და სახელის დასაცავად“.

„ტოკიო ოსახი“ სწერს: მიღებული კანონ-პროექტი არღვევს სამართლიანობის, თანასწორობის და ჰუმანიურობის პრინციპებს, რითაც ამაყობენ ამერიკელები და საერთო მშვიდობიანობის დამუქრებით ამტკიცებენ ამერიკის ორჭოფობას და მდაბალ ეგოიზმს.

„კომუნინ“-ი სწერს: „ამერიკა სარგებლობს იაპონიის დასუსტებით კატასტროფის შემდეგ და აყენებს მას დიდ შეურაცყოფას. ამის შემდეგ სამართლიანობაზე და სინდისზე ლაპარაკი-უსაფუძვლოა. იაპონიამ უნდა გადასდგას გაბედული ნაბიჯი, რათა თავიდან აიშოროს შეურაცყოფა და უბედურება და გადააყენოს კიურას კაბინეტი მომავალი ბედის ინტერესებისათვის“.

„იოროდზუ“ სწერს: „ჩვენ ომის წინააღმდეგი ვართ. მაგრამ ამერიკამ გვესროლა ჩვენ ხელთათმანი. თუ ჩვენ უკან დავიხევთ ამ მუქარის წინაშე, იაპონია გახდება მთელი ქვეყნის სასაცილოდ“.

სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებების მუშათა ფედერაციის ცენტრალურ კომიტეტმა მიმართა ამერიკის მუშებს მოწოდებით გამოვიდნენ ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ იაპონიის მუშათა ინტერესების დასაცავად.

მგზავრთა კავშირის ფედერაციამ დაადგინა გამოუცხადოს ბოიკოტი ამერიკის საქონელს და მიმართონ ამერიკის საინდუსტრიო კავშირის ორგანიზაციას თხოვნით-დაეხმარონ იაპონიის პროლეტარიატს საიმიგრაციო კანონის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საზოგადოებრივი აზრი დაინტერესებულია საბჭოთა წრეების შეხედულებით კანონპროექტისადმი.

**კულიჯი არ დაამტკიცებს კანონ პროექტს.**

„იუმაიტედ-პრესს“-ის ცნობით კულიჯი არ დაადებს ვეტოს კანონპროექს, რომელიც კრძალავს იაპონელთა იმიგრაციას ამერიკაში.

## გერმანიის ამბები

**ბრძოლა ტევტონელებსა და ნაციონალისტებს შორის.**

არჩევნების მოახლოების გამო გამწვავდა ბრძოლა ტევტონელებსა და ნაციონალისტებს შორის. ტევტონთა პარტია არის გამომხატველი ბურჟუაზიულის, ანტი-სემიტიური ნაციონალიზმის.

ნაციონალისტები არიან მსხვილი მიწათმფლობელობის ინტერესების გამომხატველი და წვრთნიან ტევტონელებს, როგორც რევოლიუციონერებს, რომლებიც გარეგნულად ებრძვიან მარქსისტებს, ხოლო სინამდვილეში გადააქვთ მარქსისტული ლოზუნგები, როგორც მაგალითად მემამულეთა მიწების ექსპროპრიაცია, ტევტონელები ბრალს სდებენ ნაციონალისტებს იმაში, რომ ისინი შეთანხმებით მიდიან ვერსალის მომხრეებთან ერთად.

**გემის მშენებელ „ვერფებში“.**

გემის მშენებელ ვერფების მეპატრონეებმა ჰამბურგში, ბრემენში და კილში რვა კვირის შემდეგ მუშების დათხოვნიდან, განაცხადეს, რომ საწარმოო დაწესებულებები განაახლებენ მუშაობას და იწვევენ სამუშაოდ მოხალისეებს, იმ პირობით, რომ ჯამაგირები მომატებულ იქნება, ხოლო სამუშაო დღე გადიდდება 9 საათამდე.

პროფკავშირთა საგაფიცვებო კომიტეტი იწვევს „ვერფები“-ს მუშებს, საწინააღმდეგო ორგანიზაციის მოსაწყობად.

**ხემნიცის კომუნისტური გაზეთის დაჯარიმება.**

ხემნიცის კომპარტიის ორგანო აკრძალულ იქნა ორი კვირით, რადგანაც შიგ მოთავსებული იყო მოწოდება ფრანკფურტის კომპარტიის პარტეიტაგისა.

**შეტაკება კომუნისტებსა და ნაციონალისტებს შორის.**

ბუკაუში ნაციონალისტებსა და კომუნისტებს შორის მომხდარ შეტაკების დროს, ბერლინის ახლოს, მოკლულ იქნა ორი ნაციონალისტი, სასიკვდილოდ დაიჭრა ერთი კომუნისტი, მსუბუქად—მრავალი.

**8 საათის სამუშაო დღისთვის.**

გერმანიის პროფორგანიზაციის გენერალურმა ლიგამ დაადგინა მოხდეს პლებისციტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ.

**არჩევნები.**

რეიხსტაგის საარჩევნო კომისიამ მიიღო 23 პარტიის სიები და უარყო—4.

## ბურჟუაზიულ ქვეყნებში

**ერთი ნაბიჯი წინ—ორი უკან.**

**ბელგიის მუშათა პარტიის მუშაობა.**

ბელგიის მუშათა (რეფორმისტულ) პარტიის კონგრესზე, საარჩევნო პროგრამის შესახებ მოხსენებაში ვანდერველდემ განაცხადა, რომ ფაშიზმის საფრთხე ბელგიისათვის არ არის დიდი და გამოსთქვა იმედი, რომ სოციალისტები შევლენ მთავრობაში ფლამანდრიელებთან კოალიციისათვის 1925 წლის არჩევნების შემდეგ. სოციალისტების მთავრობა დაუყონებლივ იცნობს სსრკ-ს მთავრობას, მაგრამ იმავე დროს იცნობს „საქართველოს დამოუკიდებლობასაც, რომელიც დაარღვია საბჭოთა მთავრობამ“.

კომუნისტური „დრაპო რუჟ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალისტებს არ ძალუძთ თავი დააღ-

# ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. სვანიძის გამოწვევისა ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელ“-ს ერთი თვით სამიქაოს სამკითხველოსთვის (სენაკის მაზრა) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1-ლ ლეგიონდან.

1. კაცაძე შალვა, 2. ვაშაკიძე მათე, 3. დადიანი ჯვებე, 4, ნიჟარაძე კირილე, 5. ხუციშვილი იასონი, 6. მაჭარაშვილი ვალოდია, 7. ჩიქოვანი, 8. დუნდუა შალვა.

იმედია ამხანაგები გამოიწერენ თავიანთი სოფლებისათვის „წითელ არმიელს“.

ბაგრატი მიქიძე.

---

წინ რეფორმისტულ ჩვეულებებს და არ ესმით აუცილებლობა მუშათა აქტიური ბრძოლისა.

### შინაურულად.

საფრანგეთის გაშვებულ პარლამენტის ყოფილი პრეზიდენტი რაულ პერე—ერთგული მეგობარი პუანკარესი, უარს ამბობს თავის კანდიდატურის წამოყენებაზე ვიენის პარლამენტში, ვინაიდან ეშინია დამარცხების. პერეს უარმა აალელვა მმართველი წრეები. მილიერანი და პუანკარე დიდხანს თათბირობდენ პერესთან. ფიქრობენ, რომ პერე თანახმა იქნება წამოაყენოს თავისი კანდიდატურა სხვა საარჩევნო ოლქში.

მემარცხენე პრესა პროტესტს აცხადებს პერეს თათბირის წინააღმდეგ პუანკარესა და მილიერანთან და სთვლის დაუშვებლად მთავრობის ჩარევას დეპუტატებისა და ამომრჩევლების ურთიერთობაში.

### პუანკარე კმაყოფილია.

სარეპარაციო კომისიის თავმჯდომარის, ბარტუს სახელზე გაგზავნილ წერილში პუანკარე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობა იწონებს ექსპერტების პროექტს, და სთხოვს სარეპარაციო კომისიას განსაზღვროს ექსპერტთა კომისიის მოხსენების მუხლები, რომლებიც უნდა იქნან შევსებული მოკავშირე მთავრობებისა და სარეპარაციო კომისიის მიერ.

პუანკარე მიუთითებს, რომ მანამ, სანამ საფრანგეთის და ბელგიის მთავრობები შესძლებენ გამოსცვალონ ძველი საწინდრები ახალზე, გერმანიაში უნდა დაიწყოს მუშაობა საემისიო ბანკმა დ მოწყობილ უნდა იქნას რკინის გზების მმართველობა, ხოლო რეიხსტაგმა უნდა მიიღოს პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ზომები. პუანკარე ფიქრობს, რომ რეჟიმის ასეთ ცვლილებას წინ უნდა მიუძღოდეს მოკავშირეთა შორის შეთანხმება გერმანიის საწინააღმდეგო ზომებში—იმ შემთხვევაში, თუ ის არ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

### ოსმალეთი

სტამბოლიდან მიღებულ ცნობით ოსმალეთის დიდმა ნაციონალურმა საბჭომ მიიღო კონსტიტუციის დანარჩენი მუხლები, ხოლო შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა კონსტიტუცია. ეს სიჩქარე გამოიწვია იმან, რომ ოსმალეთის დიდ ნაციონალურ საბჭოს ამ დღეებში უნდა დაიწყოს 6 თვიანი დასვენება.

შესვენების პირველ დღეს მუსტაფა ქემალი აღნიშნავს ოსმალეთის დ. ნ. საბჭოს მე-4-ე წლის თავს და წარმოსთქვამს სიტყვას. ერთ უმთავრეს გადაწყვეტილებათ ითვლება ის, რომ შეცვლილ იქნა კონსტიტუციის 88 მუხლი, რომლის ძალითაც ოსმალეთის ყველა მოქალაქე, განურჩევლად რელიგიისა აღიარებულ იქნებიან ოსმალოებად და ისარგებლებენ თანაბარი უფლებებით.

ზოგიერთ დეპუტატების შენიშვნის გამო ბერძნებსა და სომხების შესახებ, ამ მუხლში შეტანილ იქნა დამატება, რომელიც განმარტავს, რომ ოსმალეთის მოქალაქეთა უფლებები მიენიჭებათ ეროვნულ უმცირესობათა იმ წევრებს, რომლებსაც მიუღიათ განათლება ოსმალეთის სკოლებში, ლაპარაკობენ ოსმალურად და სავსებით იღებენ ოსმალეთის კულტურას.

## სირია.

### ფრანგების ახალი დამარცხება.

სირიის საზღვარზე გაჩაღდა ახალი შეტაკებები, რომლის დროს ფრანგებმა აამუშავეს მძიმე არტილერია, რათა დაემარცხებიათ სირიის აჯანყებულთა ძლიერ შეიარაღებული არმია, რომელსაც დახმარებას უწევს მოსახლეობა, ვინაიდან ისინი უარს ამბობენ აძლიონ ფრანგებს მძიმე ბეგარა, სტამბოლიდან მიღებულ ცნობით ფრანგებმა დიდი დამარცხება იგემეს.

### ანგორა.

სირიის აჯანყებულებმა კვლავ გაიმარჯვეს ფრანგებზე, რომლებმაც მოუკლეს 200 კაცი, წაართვეს მრავალი იარაღები და ყუთები ყუმბარებით.

ბეირუთის ფრანგული ოფიციოზი აჯანყებულებს უწოდებს „ბანდებს, რომლებიც რეგულიარულად მოდიან ოსმალეთის საზღვრებიდან ოსმალეთის ხელისუფალთა ნებართვით“. შურის ძიების გამო ფრანგული გაზეთები ილაშქრებენ ადანის პრესაზე, რომელმაც მოათავსა სწორი ინფორმაცია შემთხვევების შესახებ.

ფრანგული გაზეთები სწერენ, რომ ოსმალეთში საერთო უკმაყოფილებაა უკანასკნელი რეფორმების გამო, სწერენ კონიაში ხალხის აჯანყების მოახლოებაზე, რომელიც გაანადგურებს ქემალს.

### პოლონეთი.

პოლონეთის მთავრობამ გადასდო სპეციალური თანხა საზღვრის გასამაგრებლად ლიტვის მხარეზე.

### ფულის რეფორმა პოლონეთში.

ორი თვის შემდეგ პოლონეთში აპირებენ ლითონის ფულის ხმარების შემოღებას. ქაღალდის მარკა ხმარებაში იქნება მხოლოდ 1-ლ ივნისამდი. ლითონის ფულის სიმცირის გამო, მთავრობა უშვებს ბანკნოტებს, რომლებიც იქნება ხმარებაში წლის ბოლომდი, ხოლო შემოდგომიდან დაიწყებენ მათ ლითონით შეცვლას.

### ინგლისი.

ლოიდ ჯორჯი გამოვიდა თავის საარჩევნო ოლქში სიტყვით, რომელშიაც გაილაშქრა მუშათა მთავრობის მიერ დაკავებულ პოზიციისაკენ ლიბერალების მიმართ, და სცდილობდა დაემტკიცებია ამ ორი პარტიის თანამშრომლობის შესაძლებლობა.

## ამერიკა

კულიჯმა ნიუ-იორკში წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ხსნის ნავთის სკანდალს, როგორც სპეკულიაციის შედეგს, რომელიც წარმოშვა ომმა. მაგრამ ის სცნობს ადმინისტრაციის „ზოგიერთი“ წარმომადგენლის დანაშაულს და საკმაო ბუნდოვანად აღუთქვამს მათ დასჯას.

კულიჯმა მიუთითა სახელმწიფო გასავალის შემცირების აუცილებლობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის შემცდარად სთვლის შეხედულებას, რომ თითქოს მასების ხსნა გადასახადებისაგან შეიძლებოდეს შეძლებულ კლასების დაბეგვრით.

კულიჯი შეეხო ომის შედეგებს ამერიკისათვის და აღნიშნა, რომ ამერიკის მიერ გაღებულმა მსხვერპლმა მოიტანა კარგი შედეგები. კულიჯმა განაცხადა: „ჩვენს ქვეყანაში ეწყო დენა მატერიალ. სიმდიდ. რაიც დღემდისაც გრძელდება. ქვეყნის კეთილ-დღეობის საერთო დონე აიწია. ამერიკამ მიაღწია იმ მდგომარეობას, რომელიც დიდ შესაძლებლობას აძლევს მას უხელმძღვანელოს ქვეყნის საქმეებს“.

### ამერიკა „მშვიდობიანობის შემომქმედია“.

კულიჯის სიტყვით ამერიკა მხარს უჭერს დაუესის სარეპარაციო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს გერმანიაზე სესხის მიცემის დაჩქარებით. „მე დარწმუნებული ვარ, სთქვა კულიჯმა, რომ ამერიკის კერძო კაპიტალი თანახმა იქნება მონაწილეობა მიიღოს სესხში. უკანასკნელი სასარგებლოდ დაეტყობა ამერიკის ვაჭრობას და მისცემს ამერიკის სასოფლო მეურნეობის პროდუქციას უფრო ფართე ბაზარს.

სარეპარაციო საკითხის მოგვარება სთქვა კულიჯმა, შესაძლებელ ჰყოფს შემდეგ განიარაღებას. ვაშინგტონის კონფერენციამ განსაზღვრა სამხედრო გემების რიცხვი, მაგრამ მას არ გადაუჭრია საკითხი წყალქვეშა ნავების საჰაერო ძალის და ხმელეთის არმიის შესახებ. ამიტომ ევროპაში კვლავ გრძელდება საშიში მდგომარეობა“.

### „ერთობ გაბედულად“.

კულიჯმა აზრი გამოსთქვა ახალი კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელმაც უნდა განსაზღვროს შეიარაღება და კოდიფიკაცია უყოს საერთაშორისო უფლებას. კონფერენცია უნდა მოხდეს სარეპარაციო საკითხის მოგვარების შემდეგ. „ამერიკას—სთქვა კულიჯმა—შეუძლია აიღოს თავის თავზე ინიციატივა ამ საკითხში, თუმცაღა გაბედულობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამერიკა სარგებლობს დიდის სიყვარულით სხვა—ერებს შორის. [მაგრამ ამერიკას პატივს სცემენ ისინი, და მას, როგორც დიდ სახელმწიფოს, დიდი პასუხისმგებლობა აწევს.

## სხვა და სხვა

### უმანი. ისტორიული განძი.

კავშირთა სახლის ძველ შენობის ქვეშ აღმოჩენილ იქნა მიწაში დიდი სარდაფი, რომელშიაც იმყოფება დიდძალი ძველებური იარაღი და სხვა და სხვა ნივთები, რომლებსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

### ელეონორა დუზეს სიკვდილი.

პიტსბურგში (შეერთებული შტატები) ფილტვის ანთებით გარდაიცვალა იტალიის ცნობილი მსახიობი ქალი ელეონორა დუზე. მისი ნაშთი გადატანილ იქნება იტალიაში იტალიის ყველა თეატრები დახურულია გლოვის ნიშნად.

### მარიამ კორელის გარდაცვალება.

სტრაფფორდში ავონზე გარდაიცვალა ინგლისის ცნობილი რომანისტი ქალი მარიამ კორელი.

### თოვლის ქარბუქი.

მთელ დანიაზე გადაიარა სასტიკი თოვლის ქარბუქი, რომელმაც დიდი ნგრევა გამოიწვია.

ორშაბათს ბერლინში მოდიოდა თოვლი.

### დეპუტატის მოკვლის განზრახვა.

ტირანში (ალბანეთი) სერიოზულად დასჭრეს დეპუტატი რუსტემი, რომელმაც მოჰკლა ესად-ფაშა!

---

# ცირკულიარი № 76.

## ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებისადმი

19 აპრილი 1924 წ. ქ. თბილისი.

30 აპრილს ა. წ. პოლიტ-განყოფილება იწვევს ქ. მ. დ. მესამე პარტიულ კონფერენციას.—

ვინაიდან მომენტი, რომლის დროსაც უხდება შეკრება და მუშაობა მესამე ხელ ჩვენი ქართული წითელი ჯარის ცხოვრებაში სამხედრო ნაწილებში მომუშავე პარტ-ამხანაგებს ძალიან რთულია, თვით საერთაშორისო ჩვენი შინაური მდგომარეობის მიხედვით და განსაკუთრებით ჯარის ცხოვრების მიხედვით, რადგანაც წითელი არმია (ჯარი) ღებულობს თან და თანობით სულ სხვა სახეს გადასვლით სამილიციო სისტემაზე, რაიც პირველ რიგში გამოიხატება, ტერიტორიალური ნაწილების შექმნაში, ამისათვის ის რთული კითხვები, რომელიც სდგას ჩვენს წინაშე მოითხოვენ განსაკუთრებულ ყურადღებას და მაქსიმუმ ენერგიას ჩვენი პარტ-ამხანაგებისას ქართული ჯარის მომავალი მუშაობის გეგმის გამომუშავებისათვის და მისი საბოლოოდ საქმეზე განმტკიცებისათვის.—

აქცევს რა თქვენს ყურადღებას პოლიტ-განყოფილება ამ დიად საქმეს, დივპარტკონფერენციის ჩატარებას მოგიწოდებთ ყველა პარტ-ამხანაგებს მაქსიმუმი ენერგია დახარჯოთ და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ და აქტიური მონაწილეობა მიიღოთ მის სათანადოთ ჩატარებაში.—

ამ მიზნისათვის პარტ-ორგანიზაციების მიერ გატარებულ იქმნეს შემდეგი: 1. ლეგიონებსა და მის თანაბარ ნაწილებში ე. ი. ბიურო კოლექტივის გაერთიანებული მოწვეულ იქმნეს საერთო პარტ-კრებები, რომელზედაც მონაწილეობას ღებულობენ პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები.

ა) დღის წესრიგში დასმულ იქმნეს კითხვები: 1) პარტ-აღმშენებლობა და კომპარტიის მორიგი ამოცანები წითელ ჯარში. 2) დელეგატების არჩევნები დივიზიის პარტ-კონფერენციაზე. სხვა კითხვები კი დასმულ იქმნეს თვით ბიურო კოლექტივის მიერ. ბ) არჩევნებში გადამწყვეტი ხმა ეძლევა როგორც პარტ-წევრებს და კანდიდატებს, ისე თვით ახლად დამტკიცებულ კანდიდატებსაც.

**შენიშვნა:** ახალგაზრდა კომკავშირის წევრები სარგებლობენ სათათბირო ხმით.

2. ყოველ 5 პარტ-წევრებზე და კანდიდატებზე არჩეულ იქმნას ერთი დელეგატი—იმ გამონაკლისებით, რომ საერთო რიცხვში შედიოდეს ის ამხანაგებიც, რომელნიც დათხოვნილ იქმნენ უვადო შვებულებაში (საერთო წესით), როგორც დაბადებულნი 1901 წ.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული კითხვა პარტ აღმშენებლობა და კომპარტიის მორიგი ამოცანები წითელ ჯარში განხილულ იქმნეს განსაკუთრებულ ყურადღებით, რის შემდეგ გამოტანილ იქმნეს რეზოლიუცია დებულებით და პერსპექტივებზე მითითებით ამა თუ იმ დარგის მუშაობის მომავალი გეგმის გამოსამუშავებლად, რომელიც წარმოდგენილ იქმნეს პოლიტ-განყოფილებაში და დელეგატების მიერ კი კონფერენციაზე.

**შენიშვნა:** ოქმი გატარებული კრების წინასწარ იქნეს გადმოგზავნილი პოლიტ განყოფილებაში, რათა ამა თუ იმ კითხვებზე და მითითებებზე, რომელიც წამოყენებულ იქნება ნაწილების მიერ ვიქონიოთ წინასწარი მსჯელობა.

4) აღნიშნულ მუშაობის გატარება ევალება ბ) კოლექტივებს იმ გამონაკლისებით, რომ ოქმები მუშაობის შედეგებისა აუცილებლად გადმოგზავნილ იქმნეს პოლიტ-განყოფილებაში არა უგვიანეს 27 აპრილისა.

**შენიშვნა:** ის ცალკე კომუჯრედები, რომლებიც არ შედიან ბ) კოლექტივის გაერთიანებაში, გაატარებენ აღნიშნულ მუშაობას თავიანთ კომუჯრედებში, კომუჯრედის მდივნის ხელმძღვანელობით.

### დივიზიის კონფერენციის დღის წესრიგი:

1) საერთაშორისო და ს. ს. რ. მდგომარეობა.
2) არმიის პოლიტ სამართველოს მოხსენება.
3) პოლიტ-განყოფილების მოხსენება.
4) მოხსენება პარტკომისიის.
5) წითელი ჯარი, გადასვლა სამილიციო სისტემაზე და ტერიტორიალური ნაწილები.
6) პარტ-აღმშენებლობა და კომპარტიის მორიგი ამოცანები წითელ ჯარში.
7) არჩევნები.
8) დივიზიის პარტკომისია.
ა) დელეგატები—არმიის პარტკონფერენციაზე.
ბ) სრულიად საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე.
9) მიმდინარე კითხვები.
გ) განხილვა დამხმარე კასის დებულებისა.

დელეგატები უნდა გამოცხადდენ 30 აპრილს ა. წ. პოლიტ-განყოფილებაში სათანადო მანდატების მისაღებათ.

მე-2-რე და მე-3-მე ლეგიონიდან ჩამოსულმა ამხ. თან წამოიღონ სასურსათო კმაყოფის ატესტატი.

პოლიტ-განყოფილების უფროსი **კვირიკაძე.**

საორ. ნაწ. უფრ. თანაშემწე **შ. თალაკვაძე.**

სწორეა: საქმ. მწ. **თ. უნდრიცი.**




## სამხედრო პარტიულ სკოლაში.

(სურათი).

11 აპრილი.

ღამეა.

სძინავს ყაზარმას.

კართან მდგარი გუშაგი ელვის თვალებით სჭვრეტს მიდამოს და იცავს მეცადინეობის შემდგომ მოსვენებულ ამხანაგებს.

სამარისებური სიჩუმეა.

ისე ერთგულად ეკიდებიან სწავლას კურსანტები, რომ ძილშიც კი ცოდნის შეძენაზე ფიქრობენ.

კურსანტების გასავლელი პროგრამა დაყოფილია ოთხ ტრიმესტრად, რომლის პირველი ნაწილი დათავდა ათ აპრილს და თხუთმეტ აპრილს მოელიან გამსინჯავ კომისიას, რომელიც მოახდენს გამოცდებს და...

კურსანტები ერთი-მეორეს ეჯიბრებიან ცოდნის შეძენაში.

მათი სწავლისადმი გულის-ყური ძილშიც-კი თან ჩაჰყოლიათ და ამ სიჩუმეში, სიდაც, ლამაზად ჩაწყრივებულ საწოლებზე სძინავთ მომავალ გმირებს, ისმის სხვა და სხვა ამოძახილები:

— ამხ. ნაგო ლექტორო, რა არის კომუნიზმი?—ისმის ყ—ს ამოძახილი და სახეზე ღიმილი დაეტყო. ეტყობა მიიღო საყვარელი პასუხი.

— არა, მე ასე მესმის.—ისმის კუთხიდან-

— პუანკარე? ჰმ!.. მასაც მალე მოუგრეხთ კისერს. ჰა? რაო?—და კვლავ სიჩუმე.

განმრინებელი სცვლის გუშაგს.

მამლები ყივიან მახლობელ უბანში.

განთიადი ახლოვდება,

და ფანჯრიდან ანცად შემოჭრილი ამომავალ მზის წითელი სხივები უკოცნიან თვალებს ახლად წამოშლილ კურსანტებს.

**კონდუგი.**

## ქ. ცხ. ლეგიონში.

1924 წ. 8 აპრილს შესდგა ლეგიონის საერთ პარტ. კრება თავმჯდომარეობდა ლეგ. სამხკომი ამხ. ბუჯიაშვილი — მდივნობდა ნამგალაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1. მოხსენება ს. ს. რ. კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და პარტიის ამოცანები.

2. გარნიზონის კონფერენციაზე დელეგატების არჩევნები.

3. დივიზიის და არმიის პარტ. კომისიების წევრების დასახელება.

4. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხის შესახებ სიტყვას ამბობენ ამხ. ამხ. ბუჯიაშვილი და ნამგალაძე. რომლებიც შესაფერისად ახასიათებენ ამ ჟამათ ეკონომიურ მდგომარეობას.

მომხსენებლები უმთავრესად ეხებიან რა წარსულ მდგომარეობის ხაზებს და აღნიშნავენ რომ პარტიის აღებულმა მიმართულებამ საბჭ. ხელისუფლება მიიყვანა საბჭ. სახელმწიფოს განმტკიცებამდი. გადადგმული ნაბიჯები მიზან შეწონილია პარტიის მიერ, რის შედეგად მივიღეთ როგორც მრეწველობის ისე წარმოების აყვავება, მიუხედავათ იმისა რომ „ნეპმა“ ბევრი დადებით მხარეებთან ერთად მოიტანა უარყოფითი მხარეებიც.

მოხსენების დასრულებისას იქმნა გამომუშავებული რეზოლიუცია.

არმიის კონფერენციაზე დელეგატების არჩევნების შესახებ განხილულ იქმნა ცირკულიარი, და კრებამ აირჩია 5 კაცი. 1) ბუჯიაშვილი, 2) ნამგალაძე, 3) ვახტანგაძე, 4) საავკოვი, 5) ჭყონია. კანდიდატები: ქვანია—იოსავა.

ლეგ. სამხკომი: **ქვანია.**

## 7-ДЕ ქართული მეთაურთა სამხედრო სკოლა.

**მესამე ასეული.**

20 აპრილს კვირა დილით შესდგა მესამე ასეულის კურსანტების მორიგი კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. კუსრაშვილი, მდივნობდა ამხ. შ. თელია.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1. მოხსენება „ლენინი და ლენინიზმი“

2. მიმდინარე კითხვები.

სკოლის პოლიტხელთა წრის დავალებით პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს კურ. ამხ. ნ. არნანიაშვილი.

ამხ. არნანიაშვილი პირველად გამოდის მომხსენებლად მიუხედავად ამისა მოხსენება შინაარსიანი აღმოჩნდა.

ამხ. მომხსენებელმა თავისი მოხსენება გაყო ოთხ ნაწილებად: 1. ლენინი როგორც ორგანიზატორი. როგორ თეორეტიკოსი და ამავე დროს პრაქტიკოსი, 3. როგორც ბელადი კომუნისტურ პარტიისა და 4. როგორც ხელმძღვანელი პროლეტარულ მსოფლიო რევოლიუციისა.

დასასრულს მომხსენებელი კრებამ ტაშით დააჯილდოვა.

თანამომხსენებლად გამოდის კურსანტი ამხ. შ. თელია და პოლიტხელი ამხ. სტ. ახალაშვილი. თანამომხსენებლების სიტყვის შემდეგ გაიმართა შეკითხვები. პოლიტ-ხელი და ამხ. ვ. ყუდაშვილი შეკითხვებს სათანადო პასუხს აძლევდენ. ამის შემდგ შემოვიდა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. არნანიაშვილის და თანამოხსენებლის ამხ. თელიასი ჩვენ მესამე ასეულის კურსანტები ვადგენთ შემდეგს:

„ყველა ჩვენგანს კარგათ აქვს გათვალისწინებული თუ რა გააკეთა ამხ. ლენინმა მსოფლიო პროლეტარიატის საკეთილდღეოთ.

მან ჩაუყარა საფუძველი კომპარტიას, გაანთავისუფლა მთელი დედამიწის ერთი მექვსედი ნაწილის მშრომელი ხალხი ბურჟუაზიის ბატონობისაგან.

დღეს ლენინი აღარა გვყავს მაგრამ, მის მიერ გაკაფულ გზაზე ივლის კომუნისტური პარტია, გაჰყვება მის მიერ ნაჩვენებ ხაზს და გაანთავისუფლებს მთელ მსოფლიო პროლეტარიატს“.

გაუმარჯოს ლენინიზმს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს.

ამის შემდეგ გაიმართა მიმდინარე კითხვებიდან სხვა-და-სხვა შეკითხვები. შეკითხვებზე ამხ. კურსანტებს დამაკმაყოფილებელი პასუხები ეძლეოდათ.

**კურ. შ. თელია.**

## ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი დროშა“ № 15 (ცალკე საკავშირო ასეულის კედლის გაზეთი). კედლის გაზეთებში ერთი საუკეთესო №-რთაგანი.

საშუალო, კოხტა ფორმატი. სათაური სურათი (ფერადებით) შრომის სამეფო: მთები, ველ-მინდვრები მდინარე,—საუცხოვო ბუნება, და გაგიჟებული ქალაქი თავისი ბუმბერაზ ქარხნებით, რომელთა ამაყად აღმართული ბუხრები აპობენ ეთერს; წითელი ყაზარმები და გაქანებული მატარებელი, რომელიც აგვირისტებს თავის რკინის სალტეებით უსაზღვროებას. მზით აგვირგვინებულ მთებით გადმოწოლილ მხედარი ჰშლის სისხლის ფერ დროშას, რომელსაც აწერია სახელწოდება გაზეთისა.

შემდეგ, სხვა და სხვა ლამაზ სურათებს შორის დახატულია სატელეფონო აპარატზე იდაყვით დაყრდნობილი ქართველი წითელი მეელსმენე და მარცხენა ხელ-თვალებზე დაჩრდილებით იყურება შორს, უსაზღვროებისაკენ... ზვერავს მტრებს, და ატყობინებს კომუნის ანც გუშაგებს.

ეს, ერთის შეხედვით, თითქოს პლაკატურ ხასიათს აძლევს კედლის გაზეთს, მაგრამ ისე მოხდენილადაა ყველაფერი რიგზე, რომ უნდა შევუთანხმდეთ ზოგიერთ ცვლილებებში, რომელიც აუცილებელია კედლის გაზეთის მრავალფეროვანებისათვის თვალის მისაზიდად საუკეთესო საშუალებაა.

წერილები: მოწინავე—ლენინის ამბებზეა, მეორე წერილი ლენინის დაბადების წლის თავზეა, შემდეგ მიდის პოეზია, პროზა ასეულის თვიური ანგარიში (კულტ-პოლიტ მუშაობის) და იუმორი. ყველგან ეტყობა მცოდნე ხელი.

გაზეთი დიდებულ შთაბეჭდილებას სტოვებს, ცოტა მსხვილი ასოებით, რომ იყოს ნაწერი.

ვუსურვებთ ჩვენს ცალკე საკავშირო ასეულის კულტ-მომუშავეებს გამარჯვებას.

**ხანი.**

## ქართული დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალში.

**სარქისოვის საქმე.**

ა. წ. 21 აპრილს რევტრიბუნალში გაირჩა მესამე ლეგიონის წით. არმიელ ერვანდ სარქისოვის საქმე.

ბრალად ედება დეზერტირობა, სახაზინო ტანსაცმელების მითვისება გაფლანგვა და დეზერტირობის დროს კერძო ხასიათის ქურდობა. საქმის გამოძიებამ გამოარკვია, რომ ბრალდებული სარქისოვი ვენერიული ავათმყოფობისა გამო გაიპარა სახლში და დარჩა იქ ექვს თვემდე, შემდეგ ბრალდებული შეიპყრეს და მისცეს პასუხის გებაში. სახაზინო ტანისამოსი, რომელიც მან გაიყოლია ნაწილიდან, თან აღმოაჩნდა უკლებლივ დეზერტირობის დროს მას დაბრალდა აგრეთვე ქურდობა.

ორი უკანასკნელი ბრალდება, ე. ი. სახაზინო ქონების გაფლანგვა და ქურდობა, მას მოხსნეს, საკმაო დამამტკიცებელ საბუთების უქონლობის გამო.

მესამე ბრალდება დეზერტირობის შესახებ ტრიბუნალმა აღიარა დამტკიცებულათ და მიუსაჯა ბრალდებულ სარქისოვს ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელ სახლში მოთავსებით და ხუთი მან. ქონების ჩამორთმევა.

**გასარჩევი საქმეები.**

—დეზერტირის საქმე. 25 აპრილისთვის დანიშნულია ცხენ. ლეგ. წით. მოლაშქრის ნიკოლოზ წიკლაურის საქმე. ბრალდება დეზერტირობა.

ორი საქმე. 25 აპრილს რევტრიბუნალი გაარჩევს 1-ლი წით. არმ. შონიას და მარკოზიას საქმეს ბრალათ ედებათ დეზერტირობა და სახ. ქონების გაფლანგვა.

## ახალი ამბები.

— **მაისის დღესასწაულები.** შრომის კომისარიატის დადგენილების თანახმათ, 1, 2, 3 და 4 მაისი გამოცხადებულია დასასვენებელ დღეებათ.

— **28 აპრილი სამუშაო დღეა.** აღდგომის მეორე დღე 28 აპრილი სამუშაო დღეთაა გამოცხადებული.

— **წყალსადენი განაპირა უბნებში.** დაწყებულია მუშაობა განაპირა უბნებში წყალსადენის გასაყვანათ.

— **წყალდიდობის წინაამდეგ.** წყალსადენის სადგურის წყალდიდობისგან დასაცავათ მუშაობა უკვე დასრულდა და რაც უნდ დიდი წყალდიდობა იყოს საშიშროება აღარ არსებობს.

— **აბანოების მუშაობა.** ქალ. აღმასკომის სტატისტ. განყოფ. ცნობით მარტის თვის განმავლობაში ქალაქის აბანოებიდან შემოსულა 14.277 მანეთი.

— **სამკურნალო აბანო.** სამკურნალო აბანო „გოგილო“-ს შეკეთებას შეუდგებიან ამ ახლო მომავალში.

— **სანიტარია ციხეებში.** ჯანმრთ. კომისარიატმა დიდი ყურადღება მიაქცია სანიტ. მდგომარეობას ციხეებში. გადაწყვეტილია მოეწყოს იზოლიატორები გადამდებ სნეულთათვის.

— **იტალიაში გაგზავნა.** ნეოპოლიტანის (იტალიაშია) უნივერსიტეტის 700 წლის შესრულების გამო გამართულ დღესასწაულზე ქართული უნივერსიტეტი გზავნის პროფ. გრ. წერეთელს.

— **წიგნების პალატა.** საქ. სახ. კომ. საბჭომ მიიღო გამოსაქვეყნებლათ განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი გეგმა საქართველოში წიგნების პალატის დაარსების შესახებ.

— **ქართული სტუდია მოსკოვში.** მოსკოვში არსებული ქართ. დრამ. სტუდია გადაყვანილი იქნა საქართ. სახელმწიფო ხარჯზე.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 22 აპრილს შრომის ბირჟამ გაგზავნა სამუშაოზე 81 უმუშევარი, ახლათ ჩაეწერა 48.

## ხელოვნება.

— **ხელოვნება ჯარში.** ცალკე საკავშირო ასეულის გამოწვევის გამო 25 აპრილს ცხენოსანთა ლეგიონი გამართავს საპასუხო წარმოდგენას წით. არმ. ცენტრ. კლუბში.

— **საბავშო გაზეთი.** 1-ლი მაისისთვის გამოვა საბავშო გაზეთი „პირველი მაისი“. გაზეთში მოთავსებული იქნება საბავშო ლექსები და მოთხრობები.

— **გურული სიმღერები.** გურიიდან მოწვეული არიან ძველი სიმღერების მცოდნენი, მათი სიმღერების ჩასაწერათ. ჩაწერა მინდობილი აქვთ კომპოზიტორებს ბალანჩივაძეს და ფოცხვერაშვილს.

— **პარტიულ კლუბში.** დღეს, ცენტ. პარტიულ კლუბში გაიმართება დიდი საღამო.

**დღეს თეატრებში.**

**ოპერა**—წარმოდგენა არაა.

**დრამა**—სამანიშვილის დედინაცვალი.

**სახ. სახლი**—რუსული წარმოდგენა.

**ცირკი**—დიდი წარმოდგენა.

## წითელ-არმიელისათვის საჭირო ცნობები სავეტერინარო დარგიდან.

**გზები, საიდანაც „საპის“ ბაცილები შედიან სხეულში.**

(გაგრძელება).

ყველაზე ხშირად და მასთან ადვილათაც „საპის“ ბაცილები შედიან სხეულში ცხოველების სასუნთქი გზით. ავადმყოფ სხეულიდან ამოსუნთქულ ჰაერთან ერთად—ამოსუნთქული ბაცილები იბნევიან გარე ჰაერში და ეხვევიან მტვერში; შემდეგ ეს მტვერი ედება ტლეთ საღ ცხოველის ცხვირის, ყანყრატოს და, მათ ქვევით მდებარე, ლორწოიან გარსებს (Слизистыя оболочки); თუ ეს ლორწოიანი გარსები დაზიანებულნი არიან, მაშინ მათზე დაბანაკებული „საპის“ ბაცილები ადვილად მრავლდებიან და ავადმყოფობას მალე ააშკარავებენ, მაგრამ არის შემთხვევებიც, როცა საღ ლორწოიან გარსებში „ბაცილები ერჭობიან, ანგრევენ მათ სიმთელეს და ასე შედიან სხეულში და იწვევენ მის დაავადმყოფებას. საპით დაავადმყოფებულ ცხოველის ამონასუნთქის საღ ცხოველისადმი პირდაპირ

ჩასუნთქვა საპით დაავადმყოფებას არ იწვევს; აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ საპით დაავადმყოფებას წინ უძღვის ცხვირის ლორწოიან გარსების სისაღის და მთლიანობის დარღვევა, რის შემდეგაც საპის ბაცილები ცხად ჰყოფენ ეგრედ წოდებულ „ცხვირის საპს“ და შემდეგ კი „ფილტვების საპს“; ამით კი მტკიცდება ის შეხედულება, რომ ფილტვების საპი არასოდეს თავისით —პირველად არა ჩნდება, იგი არის განვითარება – გაძლიერება ცხვირის საპისა—ამ მხრით აშკარაა—თუ რა საშიშროებას წარმოადგენს ადამიანისათვის და საზოგადოდ ცხოველისათვის ცხვირიდან გამონადენი ლორწო და რა სიფრთხილე მართებს ადამიანს ასეთ ცხოველებთან დაახლოვების დროს.

მეორე გზა—საიდანაც შეესევა ხოლმე სხეულს „საპის“ ბაცილები არის ცხოველის ტყავი და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მთლიანობაც დარღვეულია. საღ—გაუკაწრავ ტყავში „საპის“ ბაცილები ვერ შედიან ისე, როგორც საღ ლორწოიან გარსებში; ტყავის საპი ჩნდება, ამ შემთხვევაში მარტო მაშინ, თუ სხეულის შინაგან რომელსამე საპით დაავადმყოფებულ ორგანოს მოწყდა პატარა ნაწილი და სისხლის მსვლელობის გზით იგი მოტანილ იქნა ტყავის ვიწრო მილებში და იქ გაიჰქედა; ამ ალაგას ჩნდება სიმსივნე, რომელიც შემდეგ გაღებულ წყლულად ხდება და მით აბაზუნებს მთელ სხეულს და მასთან ტყავსაც.

იშვიათად მაგრამ შესაძლოა, „საპის“ ბაცილები ესევიან სხეულს ჭამა—ხარშვის გზითაც (Пищеварительный тракт), ამის დამამტკიცებელი საბუთი ის მოვლენაა, რომ საპით ავად ხდებიან: ძაღლები, მგლები, ვეფხვები ლომები, როდესაც იგინი ჭამენ საპიან ლეშს. ზოგი მეცნიერი ამ მოვლენას ხსნის—პირის ლორწოიან გარსის გაკაწვრით ლეშთან შეყოლებულ ძვლების ჭამის დროს და არა კუჭის გზით. ამ შეხედულების მიმდევართ მოჰყავთ ის მაგალითი, როდესაც პარიჟის მცხოვრებნი და იქ მყოფი ჯარი, გარს შემორტყმულ ალყის დროს, უხვად ჭამდნენ საპიან ცხენების ხორცს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა ადამიანის საპით დაავადმყოფებისა.

ბასრი.

## ქართულ მსროლელ დივიზიის მასწავლებელთა მე-3-მე კონფერენცია.

სხდომა მეორე.

(გაგრძელება).*)

15 აპრილი, დილის 10 საათი.

მოხსენება ანბანის სწავლების შესახებ.

მომხსენებელი კონფერენციის თავმჯდომარე თალაკვაძე აღნიშნავს, რომ დღეს ჩვენს სკოლებში უკვე სავალდებულოა ანბანის სწავლება „ახალი“ ამერიკული მეთოდით. მაგრამ ეს მეთოდი სრულიად არ არის ახალი. ჯერ კიდევ 1876 წელში იყო გამოცემული რ. ისარლიშვილის: „პირველი წიგნი წერა-კითხვის შესასწავლად, შედგენილი სურათებიანი ამერიკულ მეთოდზე სახალხო სკოლებისათვის“.

ეს მეთოდი დიდი ხანია ცნობილია რუსეთშიაც, მაგრამ მისი სახელწოდება და შინაარსი დღემდე არ არის ნათლად და სისწორით გარკვეული.

ამის დასამტკიცებლად მომხსენებელს მოჰყავს აფანასიევის აზრი მისი წიგნიდან: „Методика родного языка, Москва—Петроград, 1923 г. და „Путеводитель по вопросам родного языка, Москва 1923 г. იმავე ავტორის, ელკინის, ბოღუსლავსკის, სოლოვიოვის „Долой неграмотность“, აზრი პროფესორ შეიმანის და სხვა, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ ყველას თავისებურად ესმის ეს მეთოდი და სცდილობს შეუხამოს ის რუსულ ენას, ნამდვილი ამერიკული მეთოდი კი წმინდა ანალიტიური მეთოდია. ამ სახით კი ის არც რუსულს სკოლაში იხმარება და არც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ. მხოლოდ ერთი კია განაგრძობს მომხსენებელი, ჩვენ წერა კითხვა წითელ არმიელებს რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა ვასწავლოთ, რომ უმთავრესი მიზნის, პოლიტიკურად გათვითცნობიერებისათვის მეტი დრო დაგვრჩეს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა მეთოდით ვაწარმოებთ წ.-კითხვის სწავლებას.

ამ ჟამად ყველასაგან მიღებულია „მთლიან სახეთა“ მეთოდი. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან პსიქოლოგიურად ეს მეთოდი ბუნებრივია და, მაშასადამე, ძალ-დაუტანელი დ ადვილი.

როცა ჩვენ პირველად ვხედავთ უცხო საგანს, ის ჩვენ გვეჩვენება მთლიან განუყოფელ რამედ, და სანამ ასეთად გვეჩვენება, არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის ჩვენ მიერ საკმარისად შეცნობულია. ვაკვირდებით ამ უცხო საგანს, თან და თანობით ვამჩნევთ მის შემადგენელ ნაწილებს, რასაკვირველია, პირველად თვალში გვეცემა მისი მთავარი ნაწილები და შემდეგ წვრილმანები. მოჰყავს მომხსენებელს მაგალითები და თვალსაჩინოდ ხდის, რომ მთავარ საგნის ყველა ატრიბუტების კომპლექსი გვაძლევს სრულ წარმოდგენას მთავარ საგანზე. ასეთივე წესით უნდა მოხდეს წ.-კითხვის შესწავლა „მთლიან სახეთა“ მეთოდით: თავდაპირველად ეძლევათ მთლიანი ფრაზა, შემდეგ გამოიყოფა სიტყვები, სიტყვებიდან მარცვლები, და ბოლოს კი სიტყვებიდან ასოები. კომპლექსი ასოებისა გვაძლევს სიტყვას, სიტყვათა შეთანხმება კი ფრაზას. თავის თავად ცხადია, მარცვლების და ასოების გამოყოფა სიტყვის კონცეპტში ხდება და არა მარცვალ-ბგერის გამოგლეჯით სიტყვიდან, როგორც ეს „ბგერით“ მეთოდში ხდება.

„მთლიან სახეთა“ მეთოდის მომენტებია:

1. ფრაზის მთლიანი შთაბეჭდილების მიღება შემადგენელ სიტყვების დასახელებით.

2. შეგნება, რომ სიტყვები მარცვლებისაგან შესდგება.

3. შეგნება, რომ თავის მხრით მარცვალიც შესდგება ბგერა-ასოსაგან.

სხვათა შორის უნდა ავღნიშნოთ რომ ინგლისურ ენაში ერთი და იგივე ასო, სხვა და სხვა მნიშვნელობის სიტყვაში სხვა და სხვა გვარად გამოითქმის: Mother, boy. აქ ასო „o“ პირველ სიტყვაში გამოითქმის, როგორც „ა“, მეორეში კი, როგორც „ო“. ზოგჯერ რამოდენიმე ასო გამოითქმის, როგორც ერთი ხმა. მაგ., Book, mother, olanqther. პირველ სიტყვაში „oo“=cy, მეორე th=ზ, მესამე ay=o, qth=ტ, პირიქით, ზოგჯერ ერთი ასო გამოითქმის, როგორც ორი ხმა. მ.გ. byron აქ y=ა . ამ ნაირად ცხადზე უცხადესია, რომ ინგლისური ენის წერა-კითხვის შესასწავლად აუცილებელი ხდება მთლიანი სიტყვების და ფრაზების შესწავლა. ასოების ცოდნა აქ ვერას გვიშველის, თუ სიტყვები არ ვიცით, როგორც მთლიანი რამ. ამიტომ, ინგლისურისთვის, მისი ბუნების მიხედვით, „მთლიან სახეთა“ მეთოდი ერთად-ერთ და უცილობელ მეთოდათ უნდა ჩაითვალოს.

(შემდეგ №-ში).

*) იხ. № 483.

## ლეგიონის არტილერიის ბრძოლაში მოხმარება.

(ზოგადი ცნობები).

ლეგიონის არტილერია არც ერთ სხვა დარგის არტილერიის, არც შეერთებაში არც ჯგუფებში არ შედის. იგი უშუალოთ ქვეითა ჯარის ნაწილის უფროსს ექვემდებარება. ის უფროსი, რომლის ნაწილსაც მიკუთვნილი აქვს ლეგიონის არტილერია, ამ უკანასკნელის მიზანშეწონილად გამოყენების და სწორად დასმულ ამოცანების მიცემაში, პასუხისმგებელია. ბატარეის, მწყობრის ან ქვემეხის უფროსი კი—მიცემულ ამოცანების გადაწყვეტისთვის საარტილერიო მუშაობის და საშუალების სწორ გამოყენებაზე აძლევს პასუხს.

ბატარეის, მწყობრის ან ქვემეხის უფროსი მუდამ გაცნობილი უნდა იყოს ბრძოლის მდგომარეობასთან და იცოდეს ყოველი განზრახვა, იმ ნაწილის უფროსის, რომელსაც ექვემდებარება არტილერია. ამისათვის ბატარეის უფროსი როგორც სალაშქრო მოძრაობის ისე დაზვერვის და ბრძოლის დროსაც ამ უფროსთან არის. მხოლოდ ბატარეის ცეცხლის უშუალოდ წარმოებისთვის თუ მას დასჭირდა უფროსისგან დაშორება, მოაწყობს განუწყვეტლივ კავშირს მასთან.

ბრძოლაში არტილერიის სწორ მართველობისათვის ბატარეის, მწყობრის ან ქვემეხის უფროსი იღებს (თუ არ მიიღო—მოსთხოვს) ნაწილის უფროსისაგან განკარგულებებს ან ბრძანებას, რომლითაც განისაზღვრება:

1) მთავარი ამოცანა ლეგიონის არტილერიისათვის; რომელ ნაწილს უნდა მისდევდეს არტილერია.

2) შეხლის პუნქტი, დაახლოვებით დრო იერიშის მოტანისა და ის მიზნები, რომელიც აბრკოლებენ იერიშს.

3) ახალი ამოცანები, რომელიც ბრძოლის პროცესში აღიძრებიან.

4) ბრძოლის რამდენიმე დღით შეჩერების დროს კი წინასწარ გაცნობილ უნდა იყვნენ მომავალ დამისთვის ახალ საბრძოლო ამოცანებს რომ შეიძლებოდეს საჭირო გადანაცვლება და მომზადება შეძლების დაგვარად წინასწარ, სანამ სინათლეა გაკეთდეს.

ბატარეის უფროსი მოვალეა:

1) მიღებულ ამოცანის საუკეთესოდ გადასაწყვეტად მიზნების გამონახვა, პოზიციის ამორჩევა, მასზე მისასვლელი გზის გამოძებნა და ბატარეის შევსების ორგანიზაციის მოფიქრება.

2) მოახსენებს ლეგიონის, ათასეულის ან ასეულის უფროსს იმ მნიშვნელოვან ცნობებზე, რომელიც საარტილერიო გაზვერვით მიიღო.

3) პერიოდიულად აცნობებს ბატარეის მდგომარეობას და მის მუშაობის შედეგს.

4) თვალყურს ადევნებს საომარ მასალის ხარჯვას და ზრუნავს მისი განუწყვეტლივ და თავის დროულ მიწვდენაზე.

5) როდესაც მწყობრი ან ერთი ქვემეხი უშუალოდ ქვეითა ჯარის ნაწილის უფროსს ექვემდებარება, ბატარეის უფროსი განაგებს მხოლოდ ყუმბარების მიწვდენა-განაწილებას.

ლეგიონის არტილერიის საბრძოლო ნაწილი მუშაობის (ცეცხლის) დაწყებამდე (დაახლოვებით იმ ზოლამდის საიდანაც მსუბუქ ტყვიამფრქვევების ცეცხლი ჩნდება) მისდევს თავის ქვეითა ჯარის ნაწილს ადგილობრივ საგნებს და ნაოჭის მოფარებით, ან „მოლოდინში“-ა გაჩერებული (ე. ი. პოზიცია ამორჩეული აქვს, მხოლოთ ქვემეხები ჯერ იქვე ახლოს საფარს ადგილობრივ საგანს მოფარებულნი არიან).

ლეგიონის არტილერია მუშაობს ზარბაზნობლივ, მწყობრებით, ან იშვიათ შემთხვევაში მთელი ბატარეით. ამისთანა მუშაობა ხელს უწყობს ადგილ-მდებარეობასთან შეხამება-შეგუებას, როგორც მოძრაობის ისე პოზიციაზე დალაგების დროს და მასთან თავის ქვეითა ჯარის ნაწილებთან განუწყვეტელის კავშირის დაჭერას უადვილებს.

მისი მოქმედება (სროლა) ყოველთვის მტრის თოფის და ტყვიამფრქვევის ცეცხლის სფეროში სწარმოებს და ამიტომ მისი პირად შემადგენლობის დასაფარავად (უპირველესად ყოვლისა მტრის თვალისგან შემდეგ ცეცხლისაგან) მიღებულ უნდა იყოს ყოველნაირი ზომები.

დ. ქ—ძე.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### რადიო-ტელეგრაფი.

რადიო-ტელეგრაფის გამომგონებლად მარკონი ითვლება. მან პირველად 1900 წელში შესძლო ევროპიდან ამერიკაში, მაშასადამე ატლანტიკური ოკეანეს იქით გადაეცა ასო „C“. არავის არ უფიქრია მაშინ თუ ეს უმნიშვნელო ფაქტი დასაწყისი შეიქნებოდა რადიო ტეხნიკის ესოდენ ძლიერი განვითარების. ვინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი მცირე დროის განმავლობაში ეს თითქმის უმნიშვნელო მოვლენა ასე ძლიერ განვითარდებოდა· მართალია მარკონის ამ ცდას და მიღწევას დიდი იმედით შეხვდა მაშინდელი ზოგიერთი ჟურნალ გაზეთები, მაგრამ თუ ის თანამედროვე სახეს მიიღებდა ამის ფიქრს ვინ გაბედავდა. დღეს არ არსებობს დედამიწის ზურგზე არც ერთი კუნძული, რომ არ შეიძლებოდეს მასთან რადიო ტელეგრაფის საშვალებით კავშირის დაჭერა. პირველიდანვე რადიო ტელეგრაფის წინაშე ათასგვარი ამოცანები იჭრებოდა. თანდათანობით არც ერთი მათგანი არ რჩებოდა გადაუჭრელი. პირველი ამოცანა, რომელიც წამოიჭრა რადიო ტელეგრაფის წინაშე ის იყო დიდი მანძილების დაძლევა. დიდ მანძილებზე თავისუფლათ კავშირის დაჭერის აზრი მანამდეც არსებობდა, ბევრი პროექტები შედგარა ამისთვის, მაგრამ არც ერთი არ განხორციელებულა. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად განვითარებაში მიდიოდა მისი მიმოსვლის და ურთიერთ შორის კავშირის დაჭერის საშვალებანიც. მაგრამ უკანასკნელ ხანებში სხვა და სხვა სახელმწიფოთა ეკონომიური ცხოვრების განვითარება, ვაჭრობა აღებ მიცემობის განვითარება, მიმოსვლის საშვალების კოლოსალური ნაბიჯები და აგრეთვე სახელმწიფოთა პოლიტიკური ცხოვრების ურთიერთობის გაფართოება მოითხოვენ, რომ ისინი უფრო სხვანაირ ცნობათა სასწრაფოდ გადამცემ საშვალებით იყვენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ჯერ კიდევ რადიო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა ამ რამოდენიმე ხნის წინეთ მავთულიანი ტელეგრაფი და ტელეფონი მარტო ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნილებას. მიზეზია ჯერ ერთი მათი უხერხულობა. იმათი გაყვანა არ შეიძლება დედა მიწის მრავალ ადგილებში. უმავთულო ტელეგრაფს არაფერი წინ არ უდგება. მეორე, მავთულიანი ტელეგრაფი მოითხოვს აუარებელ ხარჯებს. იხარჯება განუზომელი მავთული, იზოლიატორები, ბოძები და რამდენ მოსამსახურეებს მოითხოვს, რომ თვალყური ადევნონ მას. უმავთულო ტერეგრაფი კი თავიდან იცილებს ყველა ამ ხარჯებს. მისი ხარჯი მხოლოდ სადგურის მოწყობაა, მართალია აქ კი დიდი რაოდენობით იხარჯება ელექტრონის ძალა. რადიო ტელეგრაფის სადგური მით უფრო ძლიერია და დიდ მანძილზე გადასცემს ცნობებს, რაც უფრო დიდი ელექტრო-ძალის მოცემა შეუძლია მას. მცირე მანძალებზე უფრო გამოსადეგია მავთულიანი ტელეგრაფი, მაგრამ დიდ მანძილებზე კი დაუფასებელია რადიო ტელეგრაფი. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება აიძულებს იმ ხალხს ვინც თავისი ცოდნა შესწირეს რადიო ტეხნიკის საქმეს, დიდი ყურადღებით მოეპყრან რადიო ტელეგრაფის რაც შეიძლება დიდ მანძილებზე გამოყენებას. დედა მიწაზე უკვე არ არსებობს პაწია კუნძულიც, რომელსაც რადიო ტალღები არ სწვდებოდეს. ეს ტალღები გარბის დედა მიწის ირგვლივ იმ სიჩქარით, როგორც საზოგადოთ სინათლის სხივები ე. ი. წამში 300.000 კილომეტრს. ის თითქმის ერთ მეათედ წამიშ უვლისმთელ დედა მიწას გარშემო.

შეიხ.

თანახმად ქარ. დივ. მთლიან მომხმარებელ საზოგადოების „ევკოოპრუზის“ გამგეობის პლენუმის დადგენილებისა, სამხედრო კოოპერატიული **მესამე ყრილობა** მოწვეული იქნება ამა წლის **28 აპრილს** დილის 10 საათზე.

ყრილობის დღის წესრიგისათვის განზრახულია შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში;
2. შინა-ვაჭრობა და კოოპერაცია.
3. წესდების შესწორება.
4. საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5. მიმდინარე საკითხები.

ქარ. დივ. მთლიან მომხ. საზ. გამგეობა.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.